საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №72

ქ. ბათუმი 26 ივლისი, 2017 წ.

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგიერთი აკადემიური თანამდებობის პირის ნაშრომების სახელმძღვანელოებად აღიარების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, „სახელმძღვანელოების ცნობისა და აღიარების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2009 წლის 08 მაისის N46 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№7, 7.07.2017) ამონაწერის და დეკანის, პროფ. მარინა გიორგაძის სამსახურეობრივი ბარათების (MES 3 17 00858177, 21.07.2017 და MES 9 17 00857705, 21.07.2017) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. აღიარებული იქნეს სახელმძღვანელოდ ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგიერთი აკადემიური თანამდებობის პირის ნაშრომები:

ა) **„მეთოდური მითითებები რეფერატული ნაშრომებისთვის"**, ავტორი: ასისტენტ პროფესორი ნანა მაზმიშვილი;

ბ) **„ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია (1640-1914 წწ.)"**, ავტორი: ასისტენტ პროფესორი ხათუნა დიასამიძე.

2. წინამდებარე დადგენილება, აღიარებული სახელმძღვანელოების საგანმანათლებლო საჭიროებისათვის უნივერსიტეტის დაფინანსებით (თითოეულის 50-50 ეგზემპლარის) დაბეჭდვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების მიზნით გადაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ასევე შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ბსუ-ს გამომცემლობასა და ნაშრომების ავტორებს.

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**